საქართველოს ინტეგრაცია NATO-ში - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მიღწეული პროგრესი და მთავარი გამოწვევები

ანი ერგემლიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ივანე ოქრომჭედლიშვილი, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

“როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.“

ანი ერგემლიძე

29.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, რეფორმების განხორციელების შედეგად მიღწეული პროგრესი და წინაშე არსებული გამოწვევები.

ნაშრომი შედგება თეორიული, ანალიტიკური და შეფასებითი ნაწილისაგან. თავდაცვის სფეროს სენსიტიურობიდან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტი, ეფუძნება ძირითადად სამაგიდო კვლევას (საჯარო ინფორმაციის, რაოდენობრივი კვლევების, სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი) და ექსპერტებსა და მხარეებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური მისწრაფებები კონსტიტუციურად არის დეკლარირებული. ალიანსი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებაა, შესაბამისად გაწევრიანებისათვის საჭიროა კანდიდატმა ქვეყანამ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ყველა კომპონენტის სტანდარტიზაციის მეშვეობით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ნატოში ინტეგრაციის პროცესში. გარდა სამხედრო კომპონენტის თავსებადობისა, აუცილებელია ინსტიტუციური შესაბამისობა, რაც გულისხმობს ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკის ფორმულირების, ბიუჯეტის დაგეგმვის და მენეჯმენტის მიდგომების ნატოს მოთხოვნებთან თანხვედრას და ერთიანი დემოკრატიული პროცესების ჩამოყალიბებას.

ნატო-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობა მოიცავს, ორგანიზაციის მიერ ფინანსურ დახმარებებს, რეფორმების მხარდაჭერას და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას. პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის, აუცილებელია სახელმწიფო უწყებების მიერ გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და „კარგი მმართველობის“ სისტემის შემუშავება.

Abstract

This paper discusses the progress made by the Ministry of Defense of Georgia in implementing the reforms within the framework of the relationship between the North Atlantic Treaty Organization and Georgia, and the existing challenges.

The work consists of theoretical, analytical and evaluative parts. Due to the sensitivity of the defense field, this paper is based mainly on desk research (analysis of public information, quantitative research, scientific papers) and interviews with experts and parties.

Georgia's North Atlantic aspirations are constitutionally declared. An alliance is a military-political union, therefore membership requires the candidate country to fulfill its obligations by standardizing all components. The Ministry of Defense of Georgia has an important role in the process of NATO integration process. Along with the compatibility of the military component, institutional compliance is essential, which implies compliance with NATO requirements in formulating the country's defense policy, specific budget plans and appropriate management. Establishing unified democratic processes.

NATO-Georgia bilateral cooperation includes financial assistance from the organization, support for reforms and enhancing the country's defense capabilities. In order for the process to be fully managed, it is necessary to develop a transparent, accountable and "good governance" system by state agencies.